ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის,

ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის,

რიმა ბერაძის

2018 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2014 წლის ივლისიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. 2017 წლის 15 ნოემბრიდან ამავდროულად ვარ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა:

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“- ს მე-12-ე, მე–13-ე მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 28 და საკრებულოს 29 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა საკრებულოს 127 დადგენილება და 397 განკარგულება (განხილული საკითხებისა და

დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ.თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (www.tbsakrebulo.gov.ge)

სარევიზიო კომისია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ 2017 წლის 14 დეკემბერს, დამტკიცებულ იქნა 2018 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 21 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 171 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება კომისიის სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ) სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო **პერიოდში** ჩემი ხელმძღვანელობით შემოწმდა 23 ორგანიზაცია (მათ შორის: გეგმით გათვალისწინებული 22 ორგანიზაცია და 1 არაგეგმიური, 5 ორგანიზაცია შემოწმება/განხილვის პროცესშია), სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. ამასთან, შემოწმება-ანალიზის დასკვნები, კომისიის გადაწყვეტილებით, ჩემს მიერ გადაგზავნილ იქნა დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

განხორციელებული შემოწმებების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობაში.

ჩემი თავმჯდომარეობით, სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 19 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 41 საკითხი, მათ შორის შვიდ შემთხვევაში განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ერთ შემთხვევაში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ", რასთან დაკავშირებითაც კომისიის სახელით ჩემს მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნები.

ასევე კომისიაზე განხილვის შემდგომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე ორჯერ (30.04.2018წ. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2017 წელს შესრულებულ სამუშაოთა წლიური ანგარიში" და 21.08.2018წ. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წელის 6 თვის მუშაობის ანგარიში") წარვადგინე ანგარიში კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

მონაწილეობა მივიღე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 21 სხდომაში, სადაც ჩემს მიერ შესწავლილ და განხილულ იქნა 131 საკითხი, მათ შორის ამავე კომისიის სხდომაზე განვიხილეთ ჩემი ინიციატივით წამოყენებული საკითხი, ქ.თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების დაკანონების თაობაზე იმ 27 ოჯახისათვის, რომლებიც წლების განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ აღნიშნული ქონებით.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" 29 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 53 საკითხი.

საბჭოებში მონაწილეობა

ვარ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს“ წევრი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საბჭოს 2 სხდომა, სადაც განვიხილეთ 12 საკითხი.
ასევე ვარ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრი, სადაც პერმანენტურად ვიკრიბებით დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად.

მოქალაქეთა შეხვედრები და წერილებზე რეაგირებები

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა მიღებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მივიღე და შესაბამისი კონსულტაცია (დახმარება) გავუწიე 300 - მდე მოქალაქეს.

ასევე საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი რეაგირება მოვახდინე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის რანგში, ჩემს სახელზე შემოსულ 750-მდე განცხადება-კორესპოდენციაზე.

მაჟორიტარის საქმიანობა

2017 წლის 10 ნოემბრიდან (არჩეული მეორე ვადით) - 2018 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში, მოსახლეობასთან მოვაწყე 40 გასვლითი შეხვედრა და მაჟორიტარის წარმომადგენლობაში, მოქალაქეთა მიღებაზე მივიღე 2600-მდე მოქალაქე.

მათივე განცხადების საფუძველზე, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურაში, შუამდგომლობა გაეწია 985 მოქალაქეს.

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სოციალურ სამსახურში გადაგზავნილია:

- მედიკამენტები-227 განცხადება;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება-383 განცხადება;
- ოპერაციის დაფინანსება-24 განცხადება;
- მკურნალობა-გამოკვლევა-35 განცხადება;
- სამშენებლო მასალით უზრუნველყოფა-93 განცხადება;
- ბინის ქირით უზრუნველყოფა-7 განცხადება;
- უფასო სასადილოთი სარგებლობა-8 განცხადება;

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში გადაგზავნილია:

- 56 შუამდგომლობა, რომელიც ეხება გზებისა და ეზოების მოასფალტებას; მეწყერსაშიში ფერდობების ბეტონის კონსტრუქციით გამაგრებას; სკვერების, მოაჯირებისა და სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობას და ა.შ. აგრეთვე ინფრასტრუქტურის განყოფილება, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, სწავლობს და ამზადებს დოკუმენტაციას, დასაკანონებელი ფართების შესახებ. ღონისძიება ეხება, როგორც დევნილებს, ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც უკვე 20 წელზე მეტია ცხოვრობენ არსებულ მისამართებზე. ამ პერიოდისათვის 5 მისამართზე განხორციელდა საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

სისტემატიურად ვმუშაობ დევნილთა ჩასახლებებში ინდივიდუალური გამრიცხველიანების თაობაზე. ჩვენი ხელშეწყობით გამრიცხველიანდა 5 ასეთი საცხოვრისი.

გამგეობის თანამშრომლებთან ერთად, აქტიურად ვარ ჩართული, სეზონური გამწვანების ღონისძიებებში.

გარდა გამგეობასთან კომუნიკაციისა, მუდმივად ვთანამშრომლობ მერიის სხვადასხვა სამსახურებთან, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის, გამწვანების, ტრანსპორტის, სპორტისა და ახალგაზრდულის და ა.შ. ერთ-ერთი ასეთია, აჭარის ქ.N10-ში მდებარე დევნილთა ჩასახლება, სადაც ცხოვრობს 114 ოჯახი. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელშეწყობით, მიმდინარეობს შენობის გამაგრებითი სამუშაოები.

ჩემი წარმომადგენლობისა და თბილისის მერიის ერთობლივი მუშაობის შედეგად რაიონში განხორციელებული პროექტები:

- ქვლივიძის ქუჩაზე დამონტაჟდა მოძრაობის მიმართულების მარეგულირებელი ნიშნები; სხვადასხვა ქუჩებზე დაიხაზა ზებრა-გადასასვლელები; მოეწყო სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები; დაიდგა ღამის განათების ბოძები; დაემატა და გაიზარდა მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტები;
- სატრანსპორტო კოლაფსიდან გამომდინარე, „საბჭოს მოედანზე“ მდებარე მაქსიმ გორკის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაო, კერძოდ: მოიჭრა ძეგლის სადგამი და გაფართოვდა გზა, ავტომობილების თავისუფლად გადაადგილების მიზნით.
- ასევე გადაგზავნილი გვაქვს შუამდგომლობები, საზოგადო მოღვაწეთა მემორიალური აბრების განთავსების თაობაზე და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში განთავსდება.

2018 წელს, ჩემი წარმომადგენლობის ორგანიზებით, რაიონში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება:

- მარტის თვეში, ქალთა კვირეულისადმი მიძღვნილ საღამოზე, სადაც მოწვეული იყო 250 ჩუღურეთელი ქალბატონი, რომელთაგან სხვადასხვა სფეროში დამსახურების მქონე 25 ქალი დავაჯილდოვეთ.
- ტრადიციული ქართულ-უკრაინული ღონისძიება, ჩუღურეთის რაიონში არსებულ კიევის ქუჩაზე, სახელწოდებით - „უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე". ღონისძიება, რომელიც ორ ერს შორის ურთიერთთანამშრომლობის ყოველწლური დემონსტრირებაა და უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. ღონისძიებას 1500-მდე ჩუღურეთელი და უკრაინელი სტუმარი ესწრებოდა.
- მარტის თვეში, ჩემი ინიციატივით, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტთან ერთად (ხელმძღვანელი: მარიამ ბეზარაშვილი), ჩავატარეთ დასაქმების ფორუმი, სადაც მოწვეული იყო 15 დამსაქმებელი კომპანია და 120 სამსახურის მაძიებელი ჩუღურეთელი, რომლის შედეგად 35 ადამიანი დასაქმდა.
- აპრილის თვეში, განვახორციელეთ „ბიზნეს ფორუმი", სადაც მოწვეული იყო ბიზნეს ომბუდსმენი, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები. ფორუმზე ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ პროექტის ხელმძღვანელობისაგან მიეღოთ დეტალური ინფორმაცია მთავრობის მიერ შემოთავაზებული დამწყებების (სტარტაფების) ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.
- ჩემი ინიციატივით, რაიონში გამოვაცხადეთ კონკურსი თემაზე „საუკეთესო გამწვანებული ეზო", რომელშიც რაიონის მოსახლეობა ჩაერთო, გამოვლინდა გამარჯვებული ეზო, რომელსაც საჩუქრად მცენარეები გადავეცით.

საქველმოქმედო ღონისძიებები:

- ჩუღურეთის წარმომადგენლობასა და შპს „ნილისთან" დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის თანახმად, 35 ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახს, უკვე 4 წელია (იგულისხმება დეპუტატობის პირველი ვადაც), ყოველდღიურად გადავცემთ პურს, სულადობის მიხედვით.
- არასამთავრობო ფონდის „მომავლის მზე" და ჰიპერმარკეტ კარფურის ხელშეწყობით, 15 მარტოხელა დედას, გადავეცით პროდუქტებისა და ჰიგიენური ნივთების პაკეტები.
- საქველმოქმედო ფონდის "მომავლის გზა" ხელშეწყობით, 35 სოციალურად დაუცველ ოჯახს, გადავეცით საოჯახო ჰიგიენური საშუალებების კომპლექტი.

- ამავე ფონდის მხარდაჭერით, რაიონში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ 30 ოჯახს, უფასო სამედიცინო მრავალპროფილური კვლევა ჩაუტარდათ.
- სამედიცინო ცენტრ „ახალი მზერა"-სთან თანამშრომლობით, 80-მდე ჩუღურეთელს უფასო ოფთალმოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდათ.
- საქველმოქმედო ფონდის „მომავლის გზა"-სთან თანამშრომლობით, ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ 15 მრავალშვილიან ოჯახს, ივლისის თვეში, პროდუქტები გადავეცით.
- წარმომადგენლობისა და ქირურგიის ცენტრის კომუნიკაციის საფუძველზე, რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით, მოეწყო საქველმოქმედო აქცია, 70 ადამიანზე.

ჩემს წარმომადგენლობაში ხშირია მოქალაქეთა მომართვიანობა, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის თხოვნით. ანგარიშის პერიოდში, აღნიშნული პრობლემით მოგვმართა 77-მა ბენეფიციარმა. ჩვენი შუამდგომლობების შედეგად, 27 ოჯახს, დაენიშნა სოციალური შემწეობა ფულადი კომპენსაციით, ხოლო დანარჩენი მოლოდინის პროცესშია.

წარმომადგენლობაში ხშირად გვაკითხავენ პრობაციონერები, რომლებსაც რესოციალიზაციის მიზნით, პრობაციის ეროვნულ სამსახურთან, ვუწევთ შუამდგომლობას.

მუდმივ კომუნიკაციაში ვარ პენსიონერთა კავშირთან და მის ხელმძღვანელობასთან.

ხშირია მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრები, მათი პრობლემების ადგილზე შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ყოველ კვირა ვახორციელებ რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგს.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე,
ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი — რიმა ბერაძე